# 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის მედიაში გაშუქება

## ონლაინ მედიის მონიტორინგი

10 ოქტომბერი - 25 ოქტომბერი, 2016

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“ (CDI) ატარებს მედიამონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ ფარგლებში. მონიტორინგი ხორციელდება 2016 წლის 20 მაისიდან 2016 წლის 19 დეკემბრის ჩათვლით და მოიცავს 17 ონლაინ გამოცემას: allnews.ge, ambebi.ge, droni.ge, etanews.ge, info9.ge, interpessnews.ge, marshalpress.ge, netgazeti.ge, newposts.ge, news.ge, palitratv.ge, pirveli.com.ge, presa.ge, reportiori.ge, tabula.ge, civil.ge, dfwatch.net.

მოცემულ ანგარიშში შესულია მედიის მონიტორინგის შედეგები მხოლოდ არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პოლიტიკური პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატებისათვის.

მასალის რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი **ძირითადი მიგნებები**:

- საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის წინა პერიოდში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები ქართულ ონლაინ მედიაში საკმაოდ აქტიურად და ობიექტურად შუქდებოდა. მონიტორინგისთვის შერჩეული ვებგვერდების უმეტესობა არ ავლენდა განსაკუთრებულად დადებით ან უარყოფით განწყობას რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. გამონაკლისს კვლავ წარმოადგენდა ვებგვერდები reportiori.ge და marshalpress.ge, სადაც ცხადად შეინიშნებოდა უკიდურესად უარყოფითი განწყობა პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მიმართ.

- შერჩეულ ონლაინ გამოცემებში საკმაოდ იშვიათად გვხდებოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები.

- მონიტორინგის წინა პერიოდების მსგავსად, ონლაინ მედიაში კვლავ გვხვდებოდა კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიების არასათანადო

გამიჯვნა სარედაქციო მასალებისგან. ასეთი შემთხვევები გამოვლინდა არჩევნების მეორე ტურში მონაწილე კანდიდატთა გაშუქების დროს, მაგალითად, სტატია „ვალერი გელაშვილი მოსახლეობასთან შეხვედრებს აგრძელებს" იდენტური ტექსტით გამოქვეყნდა ვებგვერდებზე info9.ge, interpressnews.ge, pirveli.com.ge და presa.ge. აღნიშნული ვებგვერდებიდან მხოლოდ presa.ge-ს ჰქონდა მითითებული, რომ სტატია სარეკლამოა. მსგავსი მაგალითი გამოვლინდა აგრეთვე სტატიაში, რომელიც ეხებოდა პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" მაჟორიტარობის კანდიდატის, ნინო წილოსანის შეხვედრას არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. აღნიშნული სტატია იდენტური ტექსტით გამოქვეყნდა ვებგვერდებზე pirveli.com.ge, newposts.ge, info9.ge და presa.ge. აღსანიშნავია, რომ ისევ მხოლოდ presa.ge-ს ჰქონდა მითითებული, რომ სტატია სარეკლამო ხასიათის იყო.

- ონლაინ მედიაში საკმაოდ აქტიურად შუქდებოდა ინფორმაცია საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის პროცედურული საკითხების შესახებ. ამ კუთხით გამოირჩეოდა ვებგვერდი civil.ge, რომელიც მკითხველს სისტემატიზებულ ინფორმაციას აწვდიდა.

Allnews.ge




Ambebi.ge




Civil.ge



Dfwatch.net




Droni.ge




Etanews.ge



## info9.ge




## Interpressnews.ge




## Marshalpress.ge




Netgazeti.ge




Newposts.ge



News.ge




Palitratv.ge




Pirveli.com.ge



Presa.ge




Reportiori.ge




Tabula.ge

## სუბიექტების გაშუქება tabula.ge-ზე ტონის მიხედვით (%)

(10 - 25 ოქტომბერი, 2016)

